საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისია

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური წარმოების შეწყვეტის თაობაზე

პირველი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

კონსტანტინე გელაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე

ანა ხურციძე – კოლეგიის წევრი

ანა ლორია – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი – ნ. გ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 01.07.2019

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 086/19

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ გ. ქ.-ის /სიითი №/ მიმართ

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ გ. ქ.-ისათვის ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულებით (შემდგომში „დებულება“) გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2019 წლის 7 ივლისს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ნ. გ.-მა, წარმომადგენელი - მ. ს.-ის მეშვეობით და მოითხოვა ადვოკატ გ. ქ.-ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. საჩივარს ხელს აწერს მხოლოდ ნ. გ.-ის წარმომადგენელი - მ. ს.. საჩივარს თან ერთვის მინდობილობა N, რომელიც გაცემულია 2018 წლის 25 სექტემბერს. აღნიშნული მინდობილობით, ნ. გ.-მა, როგორც შპს ---“-ის დირექტორმა, მიანიჭა მ. ს.-ს გარკვეული უფლებამოსილება.

1.2 საჩივრის თანახმად, ადვოკატმა გ. ქ.-მა სასამართლოში წარადგინა საადვოკატო მომსახურეობის ხელშეკრულება, ნ. გ.-ის ყალბი ხელმოწერით - დათარიღებული 2014 წლის 15

დეკემბრით და დაიწყო სასამართლო დავა ნ. გ.-ის წინააღმდეგ საადვოკატო მომსახურების ანაზღაურების მოთხოვნით, მაშინ, როდესაც არასოდეს ყოფილა ნ. გ.-ის ადვოკატი.

1.3 საჩივრის მიხედვით, აღნიშნული ხელმოწერის ნამდვილობასთან დაკავშირებით ჩატარდა ექსპერტიზა - ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ექსპერტიზის სამეცნიერო-კვლევით ცენტრში, რომლებმაც არ დაადასტუროს ხელმოწერის ავთენტურობა.

1.4 საჩივრის თანახმად, მსგავსი ქმედებების გამო გ. ქ. არცხვენს ადვოკატთა კორპუსს და არ იმსახურებს ატაროს ადვოკატის სახელი.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა განმარტა, რომ საჩივარში მითითებული ფაქტები სიმართლეს არ შეესაბამება. ამასთან, საჩივარს ხელს აწერს ნ. გ.-ის წარმომადგენლის სტატუსის მატარებელი პირი - მ. ს., რომელიც, მინდობილობით არ არის უფლებამოსილი ნ. გ.-ის სახელით შეიტანოს საჩივარი ეთიკის კომისიაში.

2.2 ადვოკატის განმარტებით, აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით წარმოება უნდა შეწყდეს, რადგან წარმოდგენილი საჩივარი არ აკმაყოფილებს დებულების მოთხოვნებს.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი გ. ქ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოქმედი წევრი /სიითი №/, სპეციალიზაცია - სისხლის სამართალი.

3.2 ნ. გ.-ის სახელით, ეთიკის კომისიაში საჩივარი წარმოადგინა მ. ს.-მ 2019 წლის პირველ ივლისს, რომელსაც არ ახლავს სათანადო ფორმით შედგენილი წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტი. ამასთან, საჩივარს ხელს აწერს მხოლოდ მ. ს., როგორც ფიზიკური პირი ნ. გ.-ის წარმომადგენელი.

3.3 შესაბამისად, ფორმალური წინაპირობები არ არის დაცული, რადგან საჩივარი შეტანილია არაუფლებამოსილი პირის მიერ. კერძოდ, საჩივარი ხელმოწერილია მხოლოდ მ. ს.-ის, როგორც ნ. გ.-ის ადვოკატის მიერ, რომელსაც არ ერთვის მ. ს.-ის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (დებულება, მუხლი 7.5).

4. შემაჯამებელი დასკვნა:

ადვოკატ გ. ქ.-ის მიმართ, უნდა შეწყდეს დისციპლინური წარმოება.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 იმ შემთხვევაში, როდესაც საჩივარი შემოტანილია წარმომადგენლის მიერ, საჩივარს უნდა ერთვოდეს წარმომადგენლობის უფლებამოსილების დამადასტურებელი, კანონმდებლობის შესაბამისად გაფორმებული დოკუმენტი (დებულება, მუხლი 7.5).

5.2 წარმომადგენლობის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი გაცემული უნდა იყოს ეთიკის კომისიაში მონაწილე მხარის მიერ და მასში (რწმუნებულება, მინდობილობა, ორდერი) მითითებული უნდა იყოს ეთიკის კომისიაში წარმომადგენლობის უფლება.

5.3 ეთიკის კომისიის მიერ საჩივარზე წარმოება წყდება და საჩივარი არსებითად არ განიხილება, თუ საჩივარი შეტანილია არაუფლებამოსილი პირის მიერ (დებულება, მუხლი 9.1(დ)).

5.4 კოლეგია განმარტავს, რომ დებულება გარკვეულ მოთხოვნებს აწესებს საჩივრის ფორმისა და შინაარსის თვალსაზრისით, რომლის დაუცველობა შესაძლოა გახდეს დისციპლინურ საქმეზე წარმოების შეწყვეტის საფუძველი. ეთიკის კომისიაში ადვოკატ გ. ქ.-ის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყების მოთხოვნით საჩივარი, მისივე ხელმოწერით შემოიტანა მ. ს.-მ, როგორც ნ. გ.-ის წარმომადგენელმა. თუმცა საჩივარს არ დაურთო წარმომადგენლობის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, რაც დისციპლინურ საქმეზე წარმოების შეწყვეტის საფუძველს წარმოადგენს.

5.5 საჩივარს თან ერთვის მინდობილობა, სადაც ადვოკატ მ. ს.-ს წარმომადგენლობის უფლებამოსილებას ანიჭებს არა ფიზიკური პირი ნ. გ., ვისი სახელითაც იყო საჩივარი შემოტანილი ეთიკის კომისიაში, არამედ, შპს „---“-ის დირექტორი - ნ. გ.. სათანადო ფორმით შედგენილი წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტი არც შემდგომ ეტაპზე არ წარმოადგინა მხარემ. შესაბამისად, ეთიკის კომისიაში საჩივარი შემოტანილია არაუფლებამოსილი პირის მიერ, რის საფუძველზეც უნდა შეწყდეს დისციპლინური წარმოება.

5.6 საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ იმ შემთხვევაში თუ ნ. გ. გამოასწორებს წარმოდგენილ საჩივარში არსებულ ხარვეზს, მას აქვს უფლება თავიდან მომართოს ეთიკის კომისიას იმავე ადვოკატის მიმართ, იმავე ან სხვა საფუძვლით.

5.7 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა დებულების 7.5, 9.1(დ) მუხლებით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე N086/19 ადვოკატ გ. ქ.-ის /სიითი N/ მიმართ შეწყდეს დისციპლინური წარმოება.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /კონსტანტინე გელაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ანა ხურციძე/

კოლეგიის წევრი: /ანა ლორია/